№195 2 ივნისი, 2015წ.

ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს უფროსს,
ქ-ნ ნინო ღოღობერიძეს

სს „მ2"-ის გენერალური დირექტორი ემზარ ოთხოზორიას

განცხადება

პარამეტრების (ე1,ე2 კოეფიციენტის) გაზრდის შესახებ

გთხოვთ, განიხილოთ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) მომატების საკითხი წარმოდგენილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების წინადადების/პროექტის საფუძველზე. საპროექტო ობიექტის:
ქ.თბილსში, თამარაშვილის ქ. №13-ში საზოგადოებრივ საცხოვრებელი კომპლექსი.

დამპროექტებელი: შ.პ.ს"ჰაუსარტ-პროჯექტ".;მის: ქ.თბილისი, გამრეკელის ქ.№19
ტელ: 2 37-70-92;

მიწის ნაკვეთის არსებული ქალაქთმშენ. პარამეტრები: ე1=0,7; ე2=3.5; ე3=0.1

მიწის ნაკვეთის მოთხოვნილი ქალაქთმშენ. პარამეტრები: ე1=0.7; ე2=5.0; ე3=0.1

პატივისცემით,

ს.ს. ,,მ2"-ის
გენერალური დირექტორი

ემზარ ოთხოზორია

ჯოეფიციენტის მომატების გადასახადის გაანგარიშება

ფასის გაანგარიშება მოხდა არსებული ფორმულის მიხედვით:

$$\frac{L \times (K2' - (K2 + 20\%) \times S}{K2}$$

სადაც, L – მიწის ნორმატიული ფასი
K2' – მიწის ნაკვეთის მოთხოვნილი ჯოეფიციენი
K2 – მიწის ნაკვეთის არსებული ჯოეფიციენი

S – მიწის ნაკვეთის ფართი

$$\frac{255 \times (5.0 - (3.5 + 20\%) \times 14079}{3.5} = 820605$$

გადახდის გრაფიკი

2016 წლის აპრილი 820 605 ლარი

პატივისცემით,

ს.ს. ,,მ2"-ის
გენერალური დირექტორი

ემზარ ოთხოზორია

საგადახდო დავალება No 0623

Transfer Order No 0623

ვალუტირების თარიღი/Value Date: 27/04/2016   რეფერენსი/reference: 4389041800

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

- გადამხდელის დასახელება/Originator: შპს ემვკადრატი იპოდრომთან
- ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE04BG0000000558473000GEL
- თანხა/Amount: 820 605.00 GEL
- გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"
- ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22
- თანხა სიტყვებით/Amount in words: რვაას ოცი ათას ექვსას ხუთი ლარი 00 თეთრი
- გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: შპს ემვკადრატი იპოდრომთან
- საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 405108244
- მიმღების დასახელება/Recipient: ქთბილისის მერია
- ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE63LB0125152101629225
- ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:
- მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "ლიბერთი ბანკი"
- ბანკის კოდი/Bank Code: LBRTGE22
- გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 27/04/2016
- გადახდის დანიშნულება/Description: 3-2 კოეფიციენტის მომატების მოსაკრებელი,განცხადება #195,ბრძანება # 1912
- დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:
- ხელმოწერა/Signature:
- ბეჭედი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 0623

Transfer Order No 0623

ვალუტირების თარიღი/Value Date: 27/04/2016   რეფერენსი/reference: 4389041800

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

- გადამხდელის დასახელება/Originator: შპს ემვკადრატი იპოდრომთან
- ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE04BG0000000558473000GEL
- თანხა/Amount: 820 605.00 GEL
- გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"
- ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22
- თანხა სიტყვებით/Amount in words: რვაას ოცი ათას ექვსას ხუთი ლარი 00 თეთრი
- გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: შპს ემვკადრატი იპოდრომთან
- საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 405108244
- მიმღების დასახელება/Recipient: ქთბილისის მერია
- ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE63LB0125152101629225
- ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:
- მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "ლიბერთი ბანკი"
- ბანკის კოდი/Bank Code: LBRTGE22
- გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 27/04/2016
- გადახდის დანიშნულება/Description: 3-2 კოეფიციენტის მომატების მოსაკრებელი,განცხადება #195,ბრძანება # 1912
- დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:
- ხელმოწერა/Signature:
- ბეჭედი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1912

"1" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13 (ნაკვეთი №4/61)/(ნაკვეთი №4/80), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.194), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის", „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 13 ნოემბრის სხდომის №41 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13 (ნაკვეთი №4/61)/(ნაკვეთი №4/80), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.194),ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,0.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE63LB0125152101629225.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №41

ქ. თბილისი 13 ნოემბერი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე ნინო ღოღობერიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ ნემსაძე

კომისიის წევრები: გოჩა ბაბუნაშვილი, მალაზ მჭედლიშვილი, დიმიტრი მოსულიშვილი, ზაქარია ქურდიანი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია, მაკა შავიშვილი, ლევან ძაგნიძე, ირაკლი მასხარაშვილი.

მოწვეულები: გ. გიორგაძე, გ. სიჭინავა, მ. გრიგოლია, ე. ომანაძე, გ. გოგიბერიძე, ზ. მგალობლიშვილი, ე. ლობირიდი, თ. ქარუმიძე, ე. ცინცაძე, თ. ჩოჩუა, ზ. შარაშენიძე, მ. ბეგაშვილი, შ. ლეკიაშვილი, გ. მუხიაშვილი, თ. მურვანიძე, რ. ებრალიძე, ა. ლომსაძე, ირ. გულბათაშვილი, ნ. ჯანაშვილი, ირ. ჯიშკარიანი, ბ. სხულუხია, მ. ჩხეტია, მ. პაპუკაშვილი, ზ. ვახტანგიშვილი, ლ. დევაძე, კ. კახიშვილი, გ. შუკაკიძე, დ. ჯარიაშვილი, ვ. გვალია, მ. ოძელაშვილი, ნ. იმნაძე, გ. ფოფხაძე, გ. გუძუაძე, გ. გვანცელაძე, შ. გვანცელაძე, ი. წულაია, დ. ბერულავა, ს. ავალიანი, დ. ჯუჯეია, ლ. ჯუჯეია, ვ. თოდუა, თ. კიკაბიძე, ილ. ხავთასი, ირ.თუშიშვილი, გ. ყიფიანი, მ. ქურცაძე, ნ. ხიზანიშვილი, მ. კიკუაშვილი, გ. ტოკლიკიშვილი, გ. ნარუსლიშვილი, მ. ჭელიძე, ზ. კუხალაშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. მაჭარაშვილი, ვ. ჭყადუა, ა. რაზმაძე, გ. სულაბერიძე, ლ. სულაბერიძე, მ. მონიავა, გ. ჭანკვეტაძე, ბ. ჭოგეშვილი, ვ. როზაქიძე, მ. ბოლქვაძე, თ. ზედელაშვილი, ირ. ჩხიკვაძე, ლ. ხუტიაშვილი, მ. ზუმბაძე.

07/11572-13

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, იალბუზის ქ. №№7–9, ლუსინიანის ქ. №5–ში (ნაკვეთი №134/25), არსებული მიწის ნაკვეთისთვის „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეულები – გ. გიორგაძე, გ. სიჭინავა).

2. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილის №34–ში (ყოფილი №54ა) არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – მ. გრიგოლია, ე. ომანაძე, გ. გოგიბერიძე).

3. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, ევდოშვილის ქ. №2/10–ში, კორპუსი №3, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.011.010), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ზ. მგალობლიშვილი).

4. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის მასივი, ა მიკრორაიონში, კორპუსი №1, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.019,) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ე. ლობირიდი, თ. ქარუმიძე).

5. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, თაყაიშვილის ქ. №11–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ე. ცინცაძე, თ. ჩოჩუა, ზ. შარაშენიძე).

6. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ. კორპუსი №5ა, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.35.006.023), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ბეგაშვილი).

7. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ. №65–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – შ. ლეკიაშვილი, გ. მუხიაშვილი).

8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, დოდაშვილის მოედანზე, №1ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – თ. მურვანიძე, რ. ებრალიძე).

9. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №01/033), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.164), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ა. ლომსაძე, ირ. გულბათაშვილი).

10. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. №13 (ნაკვეთი №4/61)/(ნაკვეთი №4/80), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.194), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ნ. ჯანაშვილი).

11. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, დიღმის მასივში, ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №27) არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.119), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

12. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.942), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – ირ. ჯიშკარიანი).

13. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.26.560), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

14. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.27.103), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – ბ. სხულუხია, მ. ჩხეტია).

15. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.006.518, 01.72.14.006.519), ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

16. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის ქ. №6, (ნაკვეთი №04/027)/რეხის ქ. №6–ში (ნაკვეთი№04/028), არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის, კომერციული და საცხოვრებელი ფართების განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – მ. პაპუკაშვილი, ზ. ვახტანგიშვილი).

17. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, დიდი ხეივანის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.05.008.001), ავტოსამრეცხაოს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. დევაძე, კ. კახიშვილი, გ. შუკაკიძე).

18. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.041.536), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

19. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.27.426), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – დ. ჯარიაშვილი).

20. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.02.408), I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

21. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე, ფიზიკის ინსტიტუტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.211), I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების შესახებ.

22. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდი დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.044.418), I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

(მოწვეული – ვ. გვალია).

23. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორში, (ნაკვეთი №92/233), (ნაკვეთი №92/234) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.092.233, 01.72.14.092.234), I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – მ. ოძელაშვილი, ნ. იმნაძე).

24. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვაჟა-ფშაველას ქ./თიანეთის გზატკეცილზე, №2/43–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების შესახებ.

(მოწვეული – გ. ფოფხაძე).

25. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის I ჩიხის №2–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

26. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფრიკის დასახლებაში, ბ. ჭიჭინაძის ქუჩაზე, VI ჩიხის მიმდებარედ (№94–ე სკოლის უკან) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.23.016.083), I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

27. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქ. №34–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ. ითხოვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებას, ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებაა, მდებარეობს სზ–6–ში, ნაკვეთი მდებარეობს მზიურის ტერიტორიისთვის მინიჭებული სარეკრეაციო ზონის მიჯნაზე, ეკონომიკა ყიდის. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზანშეწონილობის შესახებ მიმართოს საბჭომ.

(მოწვეული – გ. გუძუაძე).

28. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ძევერის ქ. №27–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ. ითხოვს ინდ. საცხოვრებელ სახლს, ტერიტორია მდებარეობს სზ–3-ში, სადაც კომისიას მიღებული აქვს ერთიანი განვითარების ფარგლებში გრგ-ს დამუშავებაზე გადაწყვეტილება. მიწის ნაკვეთის მცირე ფართის, ადგილმდებარეობისა და კონფიგურაციის გამო, წარმოადგენს შეუსაბამოს. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზანშეწონილობის შესახებ იმსჯელოს საბჭომ.

(მოწვეულები – გ. გვანცელაძე, შ. გვანცელაძე).

29. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ძევერის ქ. №27–ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გ. გვანცელაძე, შ. გვანცელაძე).

30. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ზემო ვეძისის დასახლებაში, №115–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.001.058), ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზანშეწონილობისა და ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ იმსჯელოს საბჭომ.

(მოწვეული – დ. ვერძეული).

31. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. №13–ში არსებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის შესახებ.

(მოწვეულები – ი. წულაია, დ. ბერულავა, ს. ავალიანი).

ქ. თბილისში, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ

32. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ახმედ ჯავადის ქუჩაზე არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.037-ის მიმდებარედ), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – დ. ჯეჯეია, ლ. ჯეჯეია).

33. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სავანელის №22–ში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.070.010-ის მიმდებარედ), დაკანონების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – ვ. თოდუა, თ. კიკაბიძე).

34. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, გრიშაშვილის ქ. №75-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი №50/19) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.050.019), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – ილ. ხავთასი, ირ.თუშიშვილი).

35. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ზემო ვეძისის დას. 34/5 არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.139) და მიმდებარე ტერიტორიის ლეგალიზების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცის მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

36. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანში, III ა მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყაროთუბანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.153), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

37. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისი თემქა მე-4 კვარტალი, შატილის ქუჩაზე არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.007.023–ის მიმდებარედ), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – გ. ყიფიანი, მ. ქურცაძე).

38. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ. №15–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.013.043), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ნ. ხიზანიშვილი).

39. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, „წუშის ბაღის“ ტერიტორიაზე, (ნაკვეთი №58), არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.348), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – მ. კიკუაშვილი).

40. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34–ის შიდა კვარტალში (ნაკვეთი №42), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.013), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – გ. ტოკლიკიშვილი, გ. ნარუსლიშვილი).

41. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, „ქედის ბოლოში“ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.033.158) ,ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – მ. ჭელიძე).

42. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის ქ. №12ბ–ში (კოჯრის ახალი გზა 12ბ) არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.093.042–ის მიმდებარედ), დაკანონების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

43. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში,ა ლ. ყაზბეგის გამზირის N 34 , შიდა კვარტალში N 101 -ე სკოლის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.197-ის მიმდებარედ), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – ზ. კუხალაშვილი, ვ. შალიკაშვილი).

44. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, სამთავრობო ცენტრალური ზონის მიმდებარედ, (ნაკვეთი №8), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.120.001), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – დ. მაჭარაშვილი, ვ. ჭყადუა)

45. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზანიშვილის ქ. №47 და №49–ს შორის არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.007.032), პავილიონის მსგავსი ჯიხურების განსათავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ა. რაზმაძე).

46. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, აბაშელის ქ N23-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.053.027-ის მიმდებარედ), ლეგალიზების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

47. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარაზის ხევის მიმდებარედ (ნაკვეთი №07/015), არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.007.015), მცირე ზომის კაფის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – გ. სულაბერიძე, ლ. სულაბერიძე).

48. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.019), სავაჭრო ცენტრის ან მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

49. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სვანეთის ქ. №17–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.029.002), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – მ. მონიავა, გ. ჭანკვეტაძე).

50. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მებაღეობის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.052-ის მიმდებარედ), ლეგალიზების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ბ. გოგეშვილი).

51. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, თამარ მეფის გამზირზე №1, თამარ მეფის გამზირზე №1ვ (ნაკვეთი №24/36) არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.13.07.024.014, 01.13.07.024.053, 01.13.07.024.037), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

52. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ე.წ. „იფნის ბაღის“ ტერიტორიაზე (ნაკვეთი №11) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.139.032), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

53. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზაქარაიას ქ. №83–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.109.036), დაკანონების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

54. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, I ძმობის ქ. ჩიხის №№16–18–20–22 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.20.035.029), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

55. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის დასახლებაში, №21-ე კორპუსში, პირველი სართულის ამოშენების მიზნით, (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.001), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

56. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გორის ქ. №10–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

57. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.646), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

58. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ირემაშვილის ქ. (ყოფილი ჟღენტის) №12–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის, (ავტოსამრეცხაო-ავტოტექმომსახურეობა), განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

59. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ფეიქრების ქ. №14–ში (ნაკვეთი №05/010), არსებულ მიწის ნაკვეთზე დახურული ავტოსადგომისა და სველი წერტილის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

60. ქ. თბილისის მერის 2013 წლის 2 აპრილის №613 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობის შესახებ.

61. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, I წულაძის (კომკავშირის) ქ. №16–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.038.017), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

62. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ორჯონიკიძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.20.01.122.033, 01.20.01.122.034), ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

63. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, რაიონში, სლავა მეტრეველის, დიდუბის, ქურდიანის ქუჩებისა და წერეთლის გამზირით შემოსაზღვრული კვარტალის ფარგლებში, მრავალფუნქციური კომპლექსის (დომინირებული საცხოვრებელი ფუნქციით) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – ვ. როგაქიძე, მ. ბოლქვაძე, თ. ზედელაშვილი, ირ. ჩხიკვაძე).

64. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქ. №67–ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. ხუტიაშვილი, მ. ზუმბაძე).

მ ო ი ს მ ი ნ ეს :

1. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, იალბუზის ქ. №№7–9, ლუსინიანის ქ. №5–ში (ნაკვეთი №134/25), არსებული მიწის ნაკვეთისთვის „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. გულედანი. **AR1264074.**
დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,7, კ2=4,6; კ1=0,5, კ2=1,5.**
მინიჭებელი პარამეტრები – **კ2=4,0, კ2=4,6.**
დადგენილი – **Y=0,35, Y=0,4.**
მოთხოვნილი –**Y= 0,3.**

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. სხივი არის არასწორედ დათვლილი.
- არ არის მისაღები. სხივი არ არის წორედ აღებული (სწორედ დათვლისას კიდევ უფრო მცირდება სხივი).
- არ არის მისაღები. **Y** არ არის აღებული.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. არ არის სწორედ დათვლილი, წარმოადგინოს შესწორებული სათანადო მასალა.
- არ არის მისაღები. **Y** არ არის აღებული მართებულად.
- არ არის მისაღები. წარმოდგენილ მასალაში არასწორედ არის სხივი აგებული, კორექტირების შემდეგ მოხდეს საკითხის განხილვა.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს გასწორებული მასალა.
- არ არის მისაღები. კოეფიციენტის მომატების დროს უნდა გათვალისწინებულიყო, რომ **Y**-ში ვერ ეტეოდა.
- არ არის მისაღები. წარმოდგენილ პროექტში სხივები არ არის სწორედ აგებული, უნდა გასწორდეს ხარვეზი და შემდეგ იქნება შესაძლებელი განხილვა.
- მისაღებია. ზოგადად მისაღებია. ნებართვის სტადიაზე სხივის დათვლა წარმოადგინოს სწორად, გზის გრუნტის ზედაპირიდან მოხდეს სიმაღლის განმსაზღვრელი სხივის ათვლა.
- მისაღებია.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, ისნის რაიონში, იალბუზის ქ. №№7–9, ლუსინიანის ქ. №5–ში (ნაკვეთი №134/25), არსებული მიწის ნაკვეთისთვის „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13

გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 2, წინააღმდეგი: 10.

2. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილის №34–ში (ყოფილი №54ა) არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. გრიგოლია. AR1263733.
დადგენილი პარამეტრები – კ2=0,8, კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=1,0, კ2=1,8.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. განვითარდეს არსებული ზონის ფუნქციით.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. მრავალბინიანის მშენებლობისათვის შეუსაბამო ნაკვეთია და ზონა.
- არ არის მისაღები. ვინაიდან ზიანდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხ. სახლების პირობები, აქ არის ინდივიდუალური განაშენიანება.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილის №34–ში (ყოფილი №54ა) არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 5, წინააღმდეგი: 6.

3. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, ევდოშვილის ქ. №2/10–ში, კორპუსი №3, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.011.010), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ა. ყარასაშვილი. AR1260565.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
არსებული პარამეტრები – კ1=0,8, კ2=6,8.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,8, კ2=8,0.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. არ არის დასაბუთება.
- არ არის მისაღები. არ არის დასაბუთება, მოთხოვნა დასაზუსტებელია.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დაზუსტებული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.
- არ არის მისაღები. არ არის წარმოდგენილი სათანადო დასაბუთება და გრაფიკული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დაზუსტებული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს სათანადო დასაბუთება.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია სრული დოკუმენტაცია.
- არ არის მისაღები. არ არის დასაბუთება.
- არ არის მისაღები. საკითხი შეუსაბამობებს შეიცავს, საჭიროებს მკაფიო დასაბუთებას.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, ევდოშვილის ქ. №2/10–ში, კორპუსი №3, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.06.011.010), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 11.

4. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის მასივსი, ა მიკრორაიონში, კორპუსი №1, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.019,) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. გრიქულოვი. AR1259332.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,8.
არსებული პარამეტრები – კ2=2,6.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,7.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. საზოგადოებრივი სივრცის ათვისება ხდება სრულად.
- არ არის მისაღები. მიუღებელია მიშენება და ეზოს, კერძოდ საზოგადოებრივი სივრცის დაფარვა.
- არ არის მისაღები. დარღვეულია ნორმები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. უარესდება კორპუსის მაცხოვრებლების საცხ. გარემო.

- არ არის მისაღები. დაირღვევა ბევრი ნორმები, მაგალთად სახანძრო უსაფრთხოების, ინსოლაციის, განათებულობის და ა. შ.
- არ არის მისაღები. საზოგადოებრივი სივრცის ათვისება არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები. საზოგადოებრივი სივრცის ათვისება არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები. სრულიად მიუღებელია როგორც ფუნქციონალურად ისე ვიზუალური თვალსაზრისით.
- არ არის მისაღები. არსებული მიშენება ისედაც შეუსაბამოა, მისი კიდევ უფრო „განვითარება“ არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები. მიუღებელია როგორც ვიზუალური, ისე ფუნქციური მხრივ.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის მასივსი, ა მიკრორაიონში, კორპუსი №1, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.019,) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

5. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, თაყაიშვილის ქ. №11–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ე. ცინცაძე. **AR1263918.**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,9, კ2=4,2.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. იურიდიულად არის გასამართი პროექტი.
- არ არის მისაღები. იურიდიული პრობლემაა გასასწორებელი, შეუსაბამო მიწის ნაკვეთია ამ ეტაპზე.
- არ არის მისაღები. შეუსაბამო მიწის ნაკვეთია.
- არ არის მისაღები. შეუსაბამო მიწის ნაკვეთია.
- არ არის მისაღები. მოგვარდეს იურიდიული მხარე. თუ გაერთიანდება მიწის ნაკვეთები, შესაძლებელია განხილვა.
- არ არის მისაღები. ნაკვეთი შეუსაბამოა.
- არ არის მისაღები. შეუსაბამო მიწის ნაკვეთია.
- არ არის მისაღები. შეუსაბამო ნაკვეთია.
- არ არის მისაღები. აუცილებელია შეუსაბამობის აღმოფხვრა.
- არ არის მისაღები რადგანაც იურიდიული მხარეა მოსაწესრიგებელი არქიტექტურული თვალსაზრისით მისაღებია.

- არ არის მისაღები. შეუსაბამო მიწის ნაკვეთია, მისაღები იქნება ავტომატურად მიწის ნაკვეთის გაერთიანებით.
- არ არის მისაღები. შეუსაბამობა აღმოსაფხვრელია.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, თაყაიშვილის ქ. №11–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

6. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ. კორპუსი №5ა, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.35.006.023), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. ბეგაშვილი. **AR1264158.**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,7.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დამატებითი დოკუმენტაცია საკითხის განვითარებისთვის.
- არ არის მისაღები. არ არის წარმოდგენილი მასალები.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დაზუსტებული მასალები.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს დამატებითი მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დამატებითი მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოადგინონ დაზუსტებული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დაზუსტებული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია სრული დოკუმენტაცია.
- არ არის მისაღები. მასალა წარმოსადგენია სრულად.
- არ არის მისაღები. არ არის საკმარისი მასალა წარმოდგენილი.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია უკეთესი დასაბუთება.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია სრული მასალა.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ. კორპუსი №5ა, არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.35.006.023), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

7. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ. №65–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – შ. ლეკიაშვილი. **AR1264446.**

დადგენილი პარამეტრები – კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,3.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. მასალა მისაღებია, თუმცა შეუძლებელია.
- მისაღებია.
- მისაღებია. ინტენსივობა რადიკალურად არ იზრდება, მისაღებია კონცეფციაც და მოცულობითი გადაწყვეტაც.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ. №65–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=2,3.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 10, წინააღმდეგი: 1.

8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, დოდაშვილის მოედანზე, №1ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ე. სიხარულიძე. **AR1264351.**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=1,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,7, კ2=2,0.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,1.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. მიშენებაა, არ არის მასალა, ირღვევა არქიტექტურული სახის ერთიანობა.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. არ არის წარმოდგენილი დაზუსტებული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დამატებითი მასალები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს ვიზუალი.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, ისნის რაიონში, დოდაშვილის მოედანზე, №1ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 4, წინააღმდეგი: 7.

9. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №01/033), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.164), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ა. ლომსაძე. AR1264417.
დადგენილი პარამეტრები – კ2=3,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=5,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. წარმოდგენილ ადგილზე მაღალი ინტენსივობის განვითარება ზოგადად მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №01/033), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.164), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ2=5,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 11.

10. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. №13 (ნაკვეთი №4/61)/(ნაკვეთი №4/80), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.194), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დ. ვაჩნაძე. AR1261636.
დადგენილი პარამეტრები – კ2=3,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=5,0.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- არ არის მისაღები. ქალაქგეგმარებითად ამ ტერიტორიაზე 1200 ახალი ბინის გაჩენა გამოიწვევს სერიოზულ პრობლემებს, უნდა მოხდეს პარამეტრების შემცირება, დამუშავდეს გრგ.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. სასურველია პროექტირებისას მოხდეს გათვალისწინება ამ რაოდენობის მოსახლეობის კომპლექტაციის საჭირო (ნორმებით) ფუნქციის ობიექტების გათვალისწინება.
- მისაღებია. გაითვალისწინონ საჭირო მოთხოვნა ასეთი დიდი მოცულობის საცხოვრებელი კომპლექსისთვის, რადგან არ მოხდეს საბოლოოდ ნაკლული პროდუქტის მიღება.
- არ არის მისაღები. სასურველია პროექტში გათვალისწინებული იყოს ქალაქგეგმარებითი ნორმები, საბავშო ბაღი შესაბამისი ინფრასტრუქტურით.
- მისაღებია.

- არ არის მისაღები. მიუღებელია საცხოვრებელი კომპლექსისთვის ასეთი მაჩვენებლის კ2-ის ათვისება, დასამუშავებელია გრგ.
- არ არის მისაღები. უკვე არსებული განაშენიანების სიმჭიდროვე არ იძლევა საშუალებას, რომ კიდევ ერთი ასეთი ახალი კვარტალი გაშენდეს 900-ბინიანი საცხოვრებლით და ყველა მისი თანმხლები კომპონენტით, ასეთი შემთხვევები რეგულირდება გრგ-თი, რასაც კანონი განსაზღვრავს.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. №13 (ნაკვეთი №4/61)/(ნაკვეთი №4/80), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.194), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ2=5,0.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 5.

11. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, დიღმის მასივში, ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №27) არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.119), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი –გ. ავალიშვილი . AR1258433.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,7, კ2=4,6.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. გადაჭარბებულია სიმჭიდროვე, არასაკმარისია დასაბუთება.
- არ არის მისაღები. განვითარდეს არსებული ზონის ფარგლებში.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. არ არის მიზანშეწონილი მრავალსართულიანი განაშენიანების განვითარება.

- არ არის მისაღები. დაბალი ინტენსივობის ზონაა, გაშემო ინდივიდუალური სახლებია და მცირე სართულიანობის მქონე ობიექტები, განვითარდეს ზონის ფარგლებში.
- არ არის მისაღები. ჩამოყალიბებული განაშენიანებიდან ამოვადნილია.
- არ არის მისაღები. ჩამოყალიბებული განაშენიანებიდან ამოვადნილია.
- არ არის მისაღები. შეუსაბამოა ჩამოყალიბებული განაშენიანებისთვის.
- არ არის მისაღები. ვინაიდან ინდივიდუალური განაშენიანებაა.
